12.07.2019

ხელშეკრულება N 22

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“, შემდგომში წოდებული შემსყიდველად წარდგენილი დირექტორის გიორგი მაღლაკელიძის სახით და შპს ,,კომპანია Geosm“**წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით** შემდგომში წოდებული მიმწოდებლად-წარმოდგენილი ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები. ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1 ხელშეკრულება - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 დღე; კვირა; თვე; -კალნდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახოციელებს შესყიდვას.
1.5 მიმწოდებელი - პირი რომელიც ანხორციელებს საქონლის მიწოდებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 საქონელი - წინამდებარე ხელშეკრილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია აკუმლიატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტების შესყიდვა, საკუთარი სახსრებით, დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.2 კლასიფიკატორის კოდი: 30100000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 91,30 ლარი
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორ საქონლის ღირებულებას, ასევე წინმდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია
ა)უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი N1-ის შესაბამისად. მიწოდების ვადა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღე.
ბ)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **ა (ა) იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა;**
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი)უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულებაა დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.
6.4 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით; მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდებაა წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.
7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმბის დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორცელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილება.
7.3 საქონლის მიღებას აწარმოებს: **ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის“დირექტორი გიორგი მაღლაკელიძე.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
გ) **დაფინასების წყარო: საკუთარი სახსრები**
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულგარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.4%-ის ოდენობით.
10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცეშსი მხარეთა შორის წარმოქმნილი უტანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლებელია დადგენილი წესის მიხედვიტ მიმათოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით შეთანხმების საფუძველზე.
13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის ხელის მოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან .

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ„სათავგადასავლოტურიზმისსკოლა“
მის: დუშეთის რაიონი, დაბა გუდაური
ტელ: 599213337
 საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. N GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდიTRESGE22
ს/კ 429322985

მიმწოდებელი:

შპს "კომპანიაGeosm"
მის: თბილისი, მ. ასათიანისქ. 14
საბანკო რეკვიზიტები:
GE45PC0223600100010827
ს/ს "პროკრედიტ ბანკი"
ს/კ 404873614

დირექტორი

გიორგი მაღლაკელიძე

Advanture Tourism School

Digitally signed by Advanture Tourism School
Date: 2019.07.15 14:39:17 +04'00'

დირექტორი

თეიმურაზ ახობაძე

Teimuraz Akhobadze

Digitally signed by Teimuraz Akhobadze
Date: 2019.07.15 14:30:11 +04'00'

შედგენის თარიღი: 12.07.2019

დანართი N1

CPV კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ფასი სულ (ლარი)
30192122	მელნიანი კალამი	110	0,83	91,30
			თანხა სულ:	**91,30**

ორგანიზაცია	ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
საიდ. კოდი	429322985
მომსახურე ბანკი	სახელმწიფო ხაზინა
ანგარიშის ნომერი	GE24NB0330100200165022

ორგანიზაცია	შპს "კომპანიაGeosm"
საიდ. კოდი	404873614
მომსახურე ბაკი	ს/ს "პროკრედიტბანკი"
ანგარიშის ნომერი	GE45PC0223600100010827

დირექტორი

გიორგი მაღლაკელიძე

Advanture Tourism School

Digitally signed by Advanture Tourism School
Date: 2019.07.15 14:40:00 +04'00'

დირექტორი

თეიმურაზ ახობაძე

Teimuraz Akhobadze

Digitally signed by Teimuraz Akhobadze
Date: 2019.07.15 14:30:42 +04'00'